

# დებულება

საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული  
კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს რაგბის კავშირი - შემდგომში დებულებაში მოხსენებული როგორც სრკ ან კავშირი.
2. წინამდებარე დებულება ვრცელდება 2021-2022 წლის საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებებზე.
3. საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული 2021-2022 წლის კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა სათამაშო სეზონი ვადები განისაზღვროს 2021 წლის სექტემბრიდან - 2022 წლის მაისის ჩათვლით (ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციის გამო აღნიშნული ვადები შესაძლოა შეიცვალოს სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით).
4. შეჯიბრებები ტარდება „მსოფლიო რაგბის“ თამაშის მოქმედი წესების, საქართველოს რაგბის კავშირის მიერ დამტკიცებული დებულებების და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

## მუხლი 2. შეჯიბრებების ხელმძღვანელობა

1. შეჯიბრებების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს რაგბის კავშირი თავისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.
2. შეჯიბრებების ჩატარებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტი.

## მუხლი 3. წინამდებარე დებულებით საქართველოს რაგბის კავშირის მიზნები და ამოცანები

1. კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ორგანიზება;
2. საქართველოში რაგბის თამაშის პოპულარიზაცია და განვითარება;
3. მორაგბეთა სათამაშო უნარების დონის ამაღლება;
4. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატთა გამოვლენა/შერჩევა;
5. სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში უძლიერესი გუნდების გამოვლენა.

## მუხლი 4. კლუბის (გუნდის) ფინანსური მხარდაჭერა და მოთხოვნები

1. საქართველოს რაგბის კავშირი აფინანსებს კავშირის ეგიდით ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე კლუბებს.
2. შეჯიბრებების ჩამონათვალი რომელსაც დააფინანსებს საქართველოს რაგბის კავშირი:
  - ✓ დიდი-10;
  - ✓ დუბლიორთა ლიგა;
  - ✓ I ლიგა;
  - ✓ რეგიონალური ლიგა.

3. სრკ-ს მოთხოვნის შემთხვევაში კლუბები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ წარმოდგინონ დაფინანსების წყარო (სპონსორობა, სახელმწიფო თუ რაიმე სხვა სახის დაფინანსება), აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში გამგეობა იმსჯელებს კლუბის შეჯიბრზე დაშვება არ დაშვების საკითხს ან ჩემპიონატის მიმდინარეობისას მისი ჩემპიონატიდან მოხსნის საკითხს.

4. კაცთა ლიგაში მონაწილე ყველა კლუბი ვალდებულია დაფინანსების წყაროს შეცვლის შეწყვეტის ან/და ახალი დაფინანსების წყაროს არსებობის შემთხვევაში 15 დღის ვადაში წერილობით აცნობოს საქართველოს რაგბის კავშირს.

5. კლუბები ვალდებული არიან მოთამაშეებს შრომითი ანაზღაურება მისცენ მხოლოდ კლუბის ლეგალური შემოსავალიდან, აღნიშნულთან დაკავშირებით გამგეობა უფლებამოსილია შექმნას ზედამხედველობის კომისია, რომლის შემადგენლობას და წესს ამტკიცებს გამგეობა. ზედამხედველობის კომისიის დასკვნის საფუძველზე გამგეობა იმსჯელებს მისი ფინანსური თუ სხვა სანქციის დაწესებაზე. (ჩემპიონატიდან მოხსნა, ქულების დაკლება, შედეგების გაუქმება და სხვა.)

6. კონტროლის მიზნით საქართველოს რაგბის კავშირს უფლება აქვს მოითხოვოს მორაგბეების სამედიცინო შემოწმება ხელმოკრედ, რათა დადგინდეს რომ მორაგბეს ნამდვილად არ შეუძლია თამაში ტრამვის გამო.

#### **მუხლი 5. მოთამაშეთა ლიცენზირება**

1. სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მონაწილე ყველა მოთამაშე, რომელიც შეყვანილია კლუბის (გუნდის) მიერ საშეჯიბრო განაცხადში ექვემდებარება ლიცენზირებას.
2. ლიცენზიის მოქმედების ვადა ერთი საშეჯიბრო სეზონია.
3. რაგბის კავშირის მიერ მორაგბის სალიცენზიო ბარათი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
  - I. თუ მორაგბე აკმაყოფილებს კავშირის მიერ დადგენილი წესებს.
  - II. მორაგბის მიმართ არ მოქმედებს სამუდამო ან იმ ხანგრძლივობის დისკვალიფიკაცია, რომელიც მოიცავს მთლიან საშეჯიბრო სეზონს.
  - III. მორაგბეს გააჩნია სამედიცინო დაზღვევა მინიმ ერთი საშეჯიბრო სეზონით (აღნიშნული წესი ეხება მხოლოდ დიდი-10 გუნდებს)
  - IV. გადახდილია ლიცენზიის გაცემის საფასური.
4. მოთამაშეთა ლიცენზიის გაცემის საფასური:
  - ✓ კაცთა ლიგის კლუბისთვის (გუნდისთვის) შეადგენს 15 ლარს ერთ მოთამაშეზე.
  - ✓ ქაბუკთა ლიგის კლუბისთვის (გუნდისთვის) შეადგენს 5 ლარს ერთ მოთამაშეზე.

#### **მუხლი 6. შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება და პირობები**

1. შეჯიბრებებში მონაწილეობა შეუძლია იმ კლუბს (გუნდს), რომელიც არის საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირი, აქვს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა და რესურსი მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი დონის შეჯიბრებებში, აღიარებს საქართველოს რაგბის კავშირის წესდებებს, მსოფლიო რაგბის და სრკ-ს მიერ დადგენილ მოქმედ რეგულაციებს და რაგბის კავშირში წარდგენილი განცხადების შესაბამისად აცხადებს მზადყოფნას წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნების უპირობო შესრულებაზე.

2. ახალ კლუბს (გუნდს), რომელსაც სურვილი აქვს ჩაერთოს კაცთა და ქაბუკთა შეჯიბრებებში, უფლება მიეცემათ ჩაერთონ მოცემული მომენტისთვის ყველაზე დაბალი რანგის შესაბამისი დონის შეჯიბრებიდან გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.
3. კლუბის (გუნდის) მიერ სრკ-ში წარმოდგენილი განცხადების (სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის შესახებ) შემოტანის შემდგომ, კლუბი (გუნდი) ვალდებულია სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი დონის შეჯიბრების ყველა დაგეგმილ მატჩში. ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სრკ-ს შესაბამისი სტრუქტურა.
4. კლუბები (გუნდები) შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის ვალდებულნი არიან რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტში წარმოადგინონ:
  - I. სათანადო ფორმით შედგენილი განცხადება შესაბამისი დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის თაობაზე (იხ. დანართი №1 ). არაუგვიანეს მიმდინარე შესაბამისი დონის საშეჯიბრო სეზონის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. განცხადებას თან უნდა ახლდეს კლუბის (გუნდის), როგორც იურიდიული პირის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერი მარეგისტრირებელი ორგანოს რეესტრიდან), კლუბის წესდება, საბანკო რეკვიზიტები, ფაქტობრივი მისამართი; ელექტრონული ფოსტის მისამართი. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების საშეჯიბრო სეზონის განმავლობაში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, კლუბი (გუნდი) ვალდებულია 10 დღის ვადაში შესაბამისი ცვლილება წერილობითი ფორმით წარმოადგინოს საშეჯიბრო კომიტეტში.
  - II. შეჯიბრებებში მონაწილეობის მსურველი კლუბის (გუნდის) საშეჯიბრო განაცხადი (რომლის წარდგენის ვადა დამატებით ეცნობა კლუბებს (გუნდებს)) ორ ეგზემპლიარად, რომელიც ივსება თანდართული დანართი №2-ით დადგენილი ფორმით, რომელსაც ხელს აწერს კლუბის (გუნდის) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და იმ სამედიცინო დაწესებულების ექიმი, სადაც მოხდა მოთამაშეთა ყოველწლიური სამედიცინო შემოწმება.
  - III. საშეჯიბრო განაცხადი არანაკლებ 32 მოთამაშეზე (გარდა დიდი-10-ის და დუბლიორთა ლიგი გუნდისა.) დიდი-10-ის და დუბლიორთა ლიგის ერთიანი საშეჯიბრო განაცხადი მიიღება არანაკლებ 46 მოთამაშეზე.
5. სეზონის მიმდინარეობისას საშეჯიბრო განაცხადში მოთამაშის დამატება დასაშვებია სულ მცირე 3 დღით ადრე მატჩამდე.
6. დიდი-10, დუბლიორთა და I ლიგის კლუბი (გუნდი) დამატებით ვალდებულია წარმოადგინოს სათანადო განაცხადში შეყვანილი მოთამაშეების სპორტული სამედიცინო დაზღვევა მინიმუმ 1 საშეჯიბრო სეზონის ვადით.
7. დიდი-10-ის და პირველი ლიგის კლუბები (გუნდები) დამატებით ვალდებულია საშეჯიბრო განაცხადის წარმოდგენისას სპეციალურად გამოყოფილ ადგილას მიუთითოს მოედანის შესახებ ინფორმაცია, რომელზეც აპირებს შესაბამისი შეჯიბრებების მიმდინარეობისას მასპინძელი კლუბის (გუნდის) სტატუსით თამაშების ჩატარებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს დანართი # 10 მოთხოვნებს.
8. რეგიონალური ლიგის კლუბები (გუნდები) დამატებით ვალდებულია საშეჯიბრო განაცხადის წარმოდგენისას სპეციალურად გამოყოფილ ადგილას მიუთითოს მოედანის შესახებ ინფორმაცია, რომელზეც აპირებს შესაბამისი შეჯიბრებების მიმდინარეობისას მასპინძელი კლუბის (გუნდის) სტატუსით თამაშების ჩატარებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს დანართი № 11 მოთხოვნებს.
9. საქართველოს ჩემპიონატის “დიდი-10”-ის, დუბლიორთა, პირველ და რეგიონალურ ლიგაში მონაწილე კლუბებს (გუნდებს) განაცხადში შეყვანილ სულ მცირე 32 მორაგბესთან

უნდა ჰქონდეს გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება არანაკლებ ერთი საშეჯიბრო სეზონის ვადით, რაც დასტურდება გუნდის განაცხადში (დანართი №2) მორაგბის ხელმოწერით.

10. ჭაბუკთა შეჯიბრებებში მონაწილე კლუბი (გუნდი) დამატებით ვალდებულია:
  - I. კავშირში წარმოადგინოს თითოეული მორაგბის პირადობის ან/და დაბადების მოწმობის ასლი.
  - II. ყოველი მატჩის წინ მატჩის მეთვალყურეს წარუდგინოს მორაგბის ლიცენზიის ბარათი, ასევე მატჩის მეთვალყურეს გადამოწმების მიზნით უფლება აქვს ლიცენზიის ბარათთან ერთად მოსხოვის პირადობის მოწმობის ასლი. აღნიშნული დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში მორაგბე არ დაიშვება თამაშზე.
  - III. წინამდებარე I და II პუნქტებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია კლუბი (გუნდი).
11. კლუბი (გუნდი) ვალდებულია კავშირის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში, (საქართველოს შიდა ჩემპიონატის “დიდი-10”-ის, დუბლიორთა, პირველ და რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის) მონაწილეობისათვის გადაიხადოს საწევრო გადასახადი შემდეგი ოდენობით:
  - ✓ “დიდი-10” - 7800 ლარი;
  - ✓ დუბლიორთა ლიგა - 3400 ლარი;
  - ✓ I ლიგა - 3800 ლარი;
  - ✓ რეგიონალური ლიგა - 2000 ლარი.
12. კლუბების (გუნდების) საწევრო გადასახადის გაქვითვა მოხდება შესაბამისი დონის შეჯიბრებების დაფინანსების ხელშეკრულებიდან.
13. კავშირის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში, (საქართველოს შიდა ჩემპიონატის “დიდი-10”-ის, დუბლიორთა, პირველ და რეგიონალური ლიგის გუნდებს შორის) მონაწილეობისათვის საწევრო გადასახადი მოიცავს მსაჯების, მეთვალყურეების და სხვა ოფიციალური პირების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის უზრუნველყოფის და მატჩის ექიმის მომსახურების ხარჯებს.
14. კლუბის (გუნდის) შეჯიბრებებზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რაგბის კავშირის პრეზიდენტი საშეჯიბრო კომიტეტის წარდგინების საფუძველზე.
15. კლუბი (გუნდი) უფლებამოსილია საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ შეჯიბრებებში ათამაშოს შემდეგი ასაკის მოთამაშეები:
  - საქართველოს ჩემპიონატის კაცთა „დიდი 10“-ს ლიგა/I ლიგა/დუბლიორთა და რეგიონალური ლიგა - 18 წლის და 18 წელზე ზემოთ ასაკის მორაგბეები;
  - საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ა“ ლიგა - 17-18 წლის ჭაბუკები;
  - საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა „ბ“ ლიგა - 15-16 წლის ჭაბუკები;
  - კაცთა შვიდკაცა ტურნირი - 17 წლის და 17 წელზე ზემოთ ასაკის მორაგბეები.
16. ამ დებულებით მიზნებისთვის მოთამაშის ასაკი განისაზღვრება მისი დაბადების წლისა და მიმდინარე წლის სხვაობით, მიუხედავად იმისა თუ მიმდინარე წელს (1 იანვრიდან - 31 დეკემბრამდე პერიოდში) როდის შეუსრულდა/შეუსრულდება კონკრეტული ასაკი.
17. საქართველოს ჩემპიონატის “დიდი-10”-ის, დუბლიორთა, პირველ და რეგიონალური ლიგაში, კლუბიდან (გუნდიდან) თამაშზე დაიშვება 17 წლის 1 მორაგბე. ამ შემთხვევაში კლუბი (გუნდი) ვალდებულია წარმოადგინოს ასეთი მოთამაშის მშობლის მიერ თამაშში მის მონაწილეობაზე გაცემული და ნოტარიალურად დამტკიცებული თანხმობა და ექიმის მიერ სპეციალური ნებართვა. ასეთ მორაგბეს შერკინებაში თამაშის უფლება არა აქვს.

ასეთი მოთამაშეები კლუბის (გუნდის) მიერ წარმოდგენილ საშეჯიბრო განაცხადში უნდა იყვნენ გამოყოფილი.

18. საქართველოს ჩემპიონატის “დიდი-10“-ის, დუბლიორთა, პირველ და რეგიონალურ ლიგაში კლუბიდან (გუნდიდან) თამაშზე წარდგენილი 18 წლის შერკინების I ხაზის მოთამაშე ვალდებულია წარმოადგინოს ამ მოთამაშის მშობლის მიერ თამაშში მის მონაწილეობაზე გაცემული და ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა და ექიმის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა, ასეთი მოთამაშეები კლუბის (გუნდის) მიერ წარმოდგენილ საშეჯიბრო განაცხადში უნდა იყვნენ გამოყოფილი.
19. კაცთა და ჭაბუკთა ყველა დონის შეჯიბრებებში მორაგბეებს თამაშის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მორაგბის თამაშებს შორის დაცულია არანაკლებ 3 დღიანი ინტერვალი.
20. “დიდი-10“-ის და დუბლიორთა ლიგის მატჩებს შორის 3 დღიანი შუალედის არ არსებობის შემთხვევაში მორაგბის თამაშის ხანგრძლივობა (“დიდი-10“-ის და დუბლიორთა ლიგაში თამაშის შემთხვევაში) არ უნდა აღემატებოდეს 80 წუთს.
21. “ა” და “ბ” ლიგის კლუბები (გუნდები) ვალდებული არიან ყოველი ახალი საშეჯიბრო სეზონის დასაწყისში, საშეჯიბრო განაცხადების წარდგენისას საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტში წარადგინონ თითოეული გუნდიდან 3 გამორჩეული მოთამაშე მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილებით (თუკი გუნდის ასაკობრივი დონე აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა) ბავშვთა ფესტივალებზე სამსაჯოთ. აღნიშნული წესი არ შეეხება იმ კლუბებს (გუნდებს), რომლებიც საშეჯიბრო განაცხადის წარდგენის მომენტისათვის 1 წელზე ნაკლები დროის პერიოდში არიან შექმნილები.
22. დიდი-10-ის ლიგაში მონაწილე კლუბები (გუნდები) ვალდებული არიან მატჩის წინა დღის 20:00 საათამდე საქართველოს რაგბის კავშირს ელექტრონული ფორმით წარუდგინონ მატჩის განაცხადი (მოთამაშეთა სიის ელექტრონული ვერსია), რომელშიც მომდევნო შესწორების შეტანა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მატჩის დღეს, დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (დადასტურებული ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ოჯახური და/ან პირადი მდგომარეობა). ამ წესის დარღვევის შემთხვევაში კლუბს დაეკისრება სადისციპლინო რეგულაციით გათვალისწინებული სანქცია.
23. მოასპარეზე გუნდის უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან მატჩის დაწყების წინ, 30 წუთით ადრე ჩააბარონ მატჩის მეთვალყურეს გარკვევით შევსებული მატჩის განაცხადი მაქსიმუმ 23 მოთამაშეზე (ძირითადი და სათადარიგო) ლიცენზიებთან ერთად, სადაც პირველი ხაზის სათადარიგო მოთამაშეები უნდა იყოს გამოყოფილი.
24. კაცთა და ჭაბუკთა ყველა დონის შეჯიბრებებში გუნდი არ დაიშვება მატჩზე თუკი იგი 12 -ზე ნაკლებ მოთამაშეს გამოიყვანს კონკრეტულ თამაშზე.

✓ „დიდი 10“-ს ლიგაში მონაწილე გუნდებმა უნდა უზრუნველყონ თამაშების მსვლელობისას მოთამაშეთა მათსურების მარცხენა მკლავზე „დიდი 10“-ს ლოგოს არსებობა (შემდგომში, სამხრე).

**განმარტება:** „დიდი 10“-ს ლიგის მოთამაშეთა სამხრე არის ტურნირის საიდენტიფიკაციო-საკომუნიკაციო ნიშანი, რომელიც განთავსებულია ლიგაში მონაწილე კლუბის სათამაშო მათსურის მარცხენა მხარზე. იმისათვის, რომ სამხრე ვიზუალურად კარგად იყოს აღქმადი, გამოიყენება სამხრის ორი ვერსია იმისდა მიხედვით, თუ მათსურის რომელი ფერი დომინირებს. ღია ფერის, მათ შორის თეთრ მათსურებზე და მათსურებზე, რომლებზეც დომინირებს თეთრი ფერი, ასევე მუქი ფერის მათსურებზე (მაგალითად შავი, მუქი ლურჯი, ნაცრისფერი ან ამ ფერების სხვა ტონები) დატანილი უნდა იყოს წითელი სამხრე თეთრი წარწერით, ხოლო თუ კლუბის

მაისური წითელია, წითლის ტონებში ან ფერთა კომბინაციაში დომინირებს წითელი ფერი, სავალდებულოა თეთრი წითელი წარწერით სამხრის გამოყენება.

✓ სამხრის განლაგება და ზომები არის შემდეგი:

ა) თითოეული სამხრე წარმოადგენს მართკუთხედს, რომლის ზომებია 9.5X7 სმ;

ბ) სამხრე უნდა განთავსდეს სათამაშო მაისურის მარცხენა მკლავზე, მხრიდან 2.5 სმ მანძილზე, ხოლო მკლავის ძირიდან 4 სმ მანძილზე.

25. ჩემპიონატში მონაწილე ნებისმიერი გუნდი ვალდებულია იქონიოს ერთნაირი სათამაშო ფორმა: 23 კაცზე დანომრილი მაისური, შორტი და გამაში განსხვავებული ფერის უსახელო მოსასხამი “ექიმის” და “წყლის მიმტანის” წარწერით.

26. მატჩის მსვლელობის დროს ტექნიკურ ზონაში დაიშვება გუნდის 4 წარმომადგენელი. (2 წყლის მიმტანი, ექიმი და 1 მწვრთნელი)

27. სათამაშო ფორმის არჩევისას უპირატესობა ენიჭება სტუმარ გუნდს. სათამაშო ფერთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს მატჩის მთავარი მსაჯი.

28. სრკ-ს ეგიდით კაცთა “დიდი 10”-ს ლიგაში კლუბები (გუნდები) ვალდებულნი არიან ითამაშონ “ჟილბერტის” ფირმის ბურთით, ხოლო სხვა დანარჩენი ლიგების შეჯიბრებებში შეუძლიათ გამოიყენონ როგორც “ჟილბერტის”, ასევე “რაინოს” ფირმის ბურთები.

29. ჩემპიონი კლუბი (გუნდი) უფლებამოსილია მთელი წლის განმავლობაში ითამაშოს იმ ფერის სათამაშო ფორმით, რომელიც განაცხადის წარდგენის დროს ექნება დაფიქსირებული.

30. მასპინძელი გუნდი ვალდებულია:

I. უზრუნველყოს სათამაშო მიწის დროის მზადყოფნა დახაზვით, ალმებით, კარის ძელების დამცველი შალითებით, გასახდელით და ცხელი წყლით.

II. უზრუნველყოს მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება. (კერძოდ, უზრუნველყოს სათამაშო არეალის, მატჩში მონაწილე პირები გადაადგილების ზონის და გასახდელების დაცვა).

III. თამაშის დაწყებამდე მატჩის მეთვალყურეს გადასცეს არანაკლებ 3 სათამაშო ბურთი, რომელიც შეამოწმებს ბურთების შეჯიბრებასთან შესაბამისობას.

IV. თამაშის მსვლელობისას ყავდეს არანაკლებ 6 ბურთის მიმწოდებელი.

31. მატჩის გადატანა ან შეწყვეტა შესაძლებელია შემდეგი მიზეზების გამო:

I. ფორსმაჟორული სიტუაციის დროს.

II. ფორსმაჟორული სიტუაციის დროს თამაშის შეწყვეტის შემთხვევაში თუ კლუბების (გუნდების) ნათამაშევი დრო შეადგენს შესაბამისი შეჯიბრების მთლიანი სათამაშო დროის  $\frac{3}{4}$ -ს ან მეტს, ასეთ შემთხვევაში შეწყვეტილი თამაში არ გადაიდება და დაფიქსირდება თამაშის შეწყვეტისას არსებული ანგარიში.

III. იმ სათამაშო პირობების დროს, როდესაც საშიშროება ექმნება თამაშის მონაწილეთა ჯანმრთელობას მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს მთავარი მსაჯი.

IV. თამაშის დროს მსაჯზე და მეთვალყურეზე ზეწოლის შემთხვევაში.

32. ამ მუხლის 31-ე პუნქტით გათვალისწინებული მიზეზებით გადატანილი და შეწყვეტილი მატჩების გადათამაშების (გარდა 31 მუხლის II პუნქტისა) ან ერთ-ერთი მონაწილე გუნდისათვის მატჩის წაგებულად ჩათვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რაგბის კავშირის საშეჯიბრო ან/და სადისციპლინო ტრიბუნალი.

33. თამაშის დაწყების დაყოვნების შემთხვევაში მსაჯს უფლება აქვს არაუმეტეს 30 (ოცდაათი) წუთით გადაწიოს თამაშის დაწყება.

**მუხლი 7. შეჯიბრებების ჩატარების წესი**

1. საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ შეჯიბრებებში (გარდა შვიდკაცა რაგბის შეჯიბრებისა) მოქმედებს საცხრილო ქულათა მინიჭების შემდეგი წესი:
  - I. გამარჯვებულ გუნდს სატურნირო ცხრილში ეწერება 4 საცხრილო ქულა;
  - II. იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებული გუნდი მოწინააღმდეგე გუნდს 3 ან მეტი ლელოს სხვაობით დაამარცხებს დაერიცხება +1 (“ბონუს”) ქულა (“შეტვეითი ბონუსი”);
  - III. მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ორივე გუნდს ეწერება 2-2 საცხრილო ქულა;
  - IV. დამარცხებულ გუნდს სატურნირო ცხრილში ეწერება 0 საცხრილო ქულა;
  - V. იმ შემთხვევაში თუ დამარცხებული გუნდი თამაშს 7 ან ნაკლები ქულით წააგებს დაერიცხება +1 (“ბონუს”) ქულა (“დაცვითი ბონუსი”);
  - VI. ბონუსური ქულების დარიცხვა მიუღებელია მხოლოდ ორი გუნდის ორ მატჩიან “დუელში”, კერძოდ:
    - A. პირველი ლიგიდან “დიდი-10”-ის ლიგაში გადასასვლელ ორ მატჩიან “დუელში”;
    - B. “ა” ლიგის II ეტაპის (ფლეი-ოფის), ორ მატჩიან “დუელში”
    - C. “ბ” ლიგის “ფლეი-ოფის” მიღმა დარჩენილი გუნდების ორ მატჩიან “დუელში”
  - VII. საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ჩატარებულ ყველა დონის შეჯიბრში, რომელიმე კლუბის (გუნდების) შეჯიბრიდან მოხსნის შემთხვევაში, გუნდი ამოღებული იქნება შეჯიბრების ცხრილიდან და საშეჯიბრო ცხრილში მის ქვემოთ მყოფი გუნდები ამოიწვევენ ერთი პოზიციით ზემოთ, მოხსნილი გუნდის (გუნდების) ნათამაშებ მატჩებში მიღებული ქულები და ბურთები ანულირდება.
2. საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ჩატარებული ყველა სახის შეჯიბრში, ნებისმიერი მატჩის დროს, დოპინგ კონტროლის კომისიას უფლება აქვს ნებისმიერი კლუბის (გუნდის) მოთამაშეს, საკუთარი შეხედულებისამებრ ჩაუტაროს ტესტ-გამოკვლევა.
3. საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული შეჯიბრებების ჩატარების სისტემა განისაზღვრება წინამდებარე დებულების თანდართული დანართებით, რომლებიც წარმოადგენენ დებულების ნაწილს.
  - A. დანართი №1 - გუნდის განაცხადი ფორმა
  - B. დანართი №2 შეჯიბრი მონაწილეობა
  - C. დანართი №3 - საქართველოს ჩემპიონატი (“დიდი-10”-ის ლიგა);
  - D. დანართი №4 - საქართველოს ჩემპიონატი (პირველი ლიგა);
  - E. დანართი №5 - დუბლიორთა (“ესპუართა”) ლიგა;
  - F. დანართი №6 - “რეგიონალური” II ლიგა;
  - G. დანართი №7 - შვიდკაცა რაგბის ლიგა;
  - H. დანართი №8 - საქართველოს ჩემპიონატი (ჭაბუკთა “ა” ლიგა);
  - I. დანართი №9 - საქართველოს ჩემპიონატი (ჭაბუკთა “ბ” ლიგა).
  - J. დანართი №10- რაგბის სათამაშო გარემოს სტანდარტი დიდი-10-ის და პირველი ლიგის კლუბისთვის (გუნდისთვის);
  - K. დანართი №11 - რაგბის სათამაშო გარემოს სტანდარტი რეგიონალური ლიგის კლუბისთვის (გუნდისთვის).

## მუხლი 8. ტრანსფერები

### შიდა ტრანსფერი

1. კაცთა და ჭაბუკთა ლიგის ყველა დონის კლუბისთვის (გუნდისთვის) შიდა სატრანსფერო პერიოდი განისაზღვრო ერთ ეტაპად - ზაფხული ტრანსფერი.

2. ზაფხულის ტრანსფერების პერიოდის ვადას ადგენს სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე.
3. სატრანსფერო პერიოდი უნდა გამოცხადდეს ივლისი-აგვისტოს თვეში.
4. სატრანსფერო პერიოდის ვადა (სატრანსფერო ფანჯარა) არ უნდა იყოს 20 კალენდარულს დღეზე ნაკლები და 30 კალენდარულს დღეზე მეტი.
5. წლის სხვა პერიოდში ტრანსფერები და სხვა გადაადგილება კლუბში ან კლუბებს შორის დაუშვებელია.
6. სრკ-ს გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილებით შესაძლებელია ეროვნული ნაკრების მორაგბის ტრანსფერი ამ დებულებით დადგენილი სატრანსფერო პერიოდის გასვლის შემდეგაც, თუკი სატრანსფერო პერიოდის გაშვება არ მომხდარა მოთამაშისა და საქართველოს კლუბის ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედების შედეგად, ამასთან თუკი გამგეობა მიიჩნევს, რომ ასეთი გადაწყვეტილება ემსახურება საქართველოში რაგბის განვითარებას, თავად მორაგბის განვითარებას და საქართველოს ეროვნული ნაკრების განვითარებას.
7. გამონაკლისი: “ა” და “ბ” ლიგის გუნდის მორაგბეები, რომლებსაც სასწავლებლის ან/და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო სურთ კლუბიდან კლუბში გადასვლა მათ ეძლევათ უფლება სეზონის ნებისმიერ დროს გადავიდნენ კლუბიდან კლუბში. (აღნიშნული გადასვლა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით).
8. მოთამაშე, რომელიც დაემატა კლუბს **ზამთრის სატრანსფერო** პერიოდში ან ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებით, უფლება არ აქვს მიიღოს მონაწილეობა კლუბის (გუნდის) თამშებში, რომელიც გადადებული იქნა მისი ამ კლუბში (გუნდში) რეგისტრაციამდე.

#### **საერთაშორისო ტრანსფერი**

9. მშობლიური კავშირიდან (კლუბიდან) - სხვა ქვეყნის კავშირში (კლუბში) მორაგბის გადაადგილება (ტრანსფერი) დასაშვებია წლის ნებისმიერ დროს;
10. საერთაშორისო სატრანსფერო პერიოდი რა დროსაც შესაძლებელია მორაგბის რეგისტრაცია სხვა ქვეყნის კავშირიდან (კლუბიდან) - საქართველოს რაგბის კავშირში (კლუბში) განისაზღვროს II ეტაპად - **ზამთრის და ზაფხულის ტრანსფერი**.
  - I. **საერთაშორისო ზამთრის ტრანსფერი გაიხსნება მიმდინარე წლის 15 დეკემბერს და დაიხურება მომდევნო წლის 15 იანვარს.**
  - II. საერთაშორისო ზაფხულის სატრანსფერო პერიოდი განისაზღვრება საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტის მიერ გამოცხადებულ შიდა ზაფხულის სატრანსფერო პერიოდის ვადით.
  - III. მოთამაშე, რომელიც დაემატა კლუბს **საერთაშორისო ზამთრის სატრანსფერო** პერიოდში უფლება არ აქვს მიიღოს მონაწილეობა კლუბის (გუნდის) თამშებში, რომელიც გადადებული იქნა მისი ამ კლუბში (გუნდში) რეგისტრაციამდე.

#### **მუხლი 9. მოთამაშის კლუბიდან (გუნდიდან) განთავისუფლების წესი**

1. კლუბიდან კლუბში გადასულ და საშეჯიბრო განაცხადში შეყვანილ ყოველ მოთამაშეზე, კლუბი (გუნდი) ვალდებულია წარუდგინოს საქართველოს რაგბის კავშირს მოთამაშის ყოფილი კლუბიდან განთავისუფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი).
2. კლუბი საიდანაც გადადის მოთამაშე თუ მიმღები კლუბის (გუნდი) ან მოთამაშის წერილობითი მოთხოვნიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში წერილობით არ დაასაბუთებს თავის უარს მოთამაშის გადასვლაზე ჩაითვლება, რომ თანხმობაა გაცემული.



3. წერილობით დასაბუთებული უარის შემთხვევაში ამგვარი დასაბუთებულობის საფუძვლიანობას იხილავს სრკ 3 (სამი) დღის ვადაში წერილობითი უარის მიღებიდან. სრკ-ს გადაწყვეტილება საბოლოოა.
4. ამ მუხლის 1 და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული განთავისუფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ნიშნავს ყოფილი კლუბის (გუნდის) წერილს, რომლითაც აღიარებულია, რომ მორაგბეს კლუბის (გუნდის) მიმართ არ გააჩნია არანაირი ვალდებულება, იგი თავისუფალია და უფლება აქვს საქართველოში საშეჯიბრო სეზონის განმავლობაში ითამაშოს ნებისმიერ კლუბში (გუნდში).
5. მოთამაშეთა კლუბიდან (გუნდიდან) კლუბში (გუნდში) გადასვლა რეგულირდება ამ დებულებით და საქართველოს მორაგბეთა სტატუსისა და ტრანსფერის შესახებ დებულებით.

#### **მუხლი 10. მატჩის ოფიციალური პირები**

1. რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული შესაბამისი დონის შეჯიბრებებს ემსახურება რაგბის კავშირის მიერ დანიშნული, მსაჯები, მეთვალყურეები და სხვა ოფიციალური პირები.

#### **მუხლი 11. ინტერესთა კონფლიქტი, არაკეთილსინდისიერი მონაწილეობა ჩემპიონატში.**

1. დიდი-10-ის ლიგის კლუბს I და რეგიონალურ ლიგაში არ შეიძლება ყავდეს გუნდი.
2. დაუშვებელია დიდი-10-ის ლიგაში მონაწილე კლუბმა I და რეგიონალურ ლიგაში მყოფ კლუბს (გუნდს) გაუწიოს ფინანსური დახმარება ან/და სხვა რაიმე სახის მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე ან/და მისი სახელით I და რეგიონალურ ლიგაში გამოიყვანოს გუნდი.
3. საქართველოს ჩემპიონატში შეჯიბრებებში მონაწილე 2 ან მეტ კლუბს არ შეიძლება ყავდეს ერთი და იგივე დამფუძნებელი.

#### **მუხლი 12. სანქციები**

1. ამ დებულებით გათვალისწინებული პირობების და წესების დარღვევებს განიხილავს სრკ-ს სადისციპლინო ტრიბუნალი.

#### **მუხლი 13. დაჯილდოვება**

1. რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს გადაეცემათ თასი და ჩემპიონის მედლები, ხოლო II და III ადგილების მფლობელები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით.